საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *კახაბერ სოფრომაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	82	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი : 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

კახაბერ სოფრომაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის პიროვნულად და პროფესიულად კეთილსინდისიერი და მოწესრიგებული ადამიანი. მისთვის მნიშვნელოვანია პროფესია და პროფესიაში მაღალი მორალური სტანდარტების დამკვიდრება.

კახაბერ სოფრომაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, კახაბერ სოფრომაძე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი გადაწყვეტილებას ყოველთვის საკუთარი შეხედულებისამებრ იღებს, კანდიდატის დამოუკიდებლობის ხარისხი და პროფესიული მედეგობა იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელია მასზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა.

საყურადღებოა კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენისას გამოხატული მოსაზრება სამართლიან და კანონიერ გადაწყვეტილებებზე: თუ პრაქტიკაში, სამოქალაქო საქმისწარმოების ფარგლებში როგორც მოსამართლე დაინახავდა, რომ ერთი მხარე

ვერ ასაბუთებს მის პოზიციას მიუხედავად სისწორისა, იგი მიიღებდა კანონიერ გადაწყვეტილებას, რამდენადაც მიაჩნია, რომ სამოქალაქო წარმოებაში მხარის რისკია თუ როგორ დაიცავს მის პოზიციას. კანდიდატს მიაჩნია, რომ დისპოზიციურობა და შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა დაირღვეს, თუმცა არ გამორიცხავს გადაწყვეტილების მიღებისას გაეთვალისწინებინა საქმის კონკრეტული გარემოებები. გადაწყვეტილების კანონიერების ამგვარი ვიწრო გაგება, საკითხის ხისტად დაყენება და კანონიერების სასარგებლოდ გადაწყვეტა არ შეესაბამება სამართლიანობის იდეას.

კახაბერ სოფრომაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, კახაბერ სოფრომაძის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება ქცევის მაღალ სტანდარტს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით და ემოციების მართვის უნარით. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი არის რბილი, დამყოლი და გულჩვილი პიროვნება, თუმცა კანდიდატი ამგვარ შეფასებას არ იზიარებს.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ კახაბერ სოფრომაძის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები კახაბერ სოფრომაძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად, რომელიც სარგებლობს პატივისცემით პროფესიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

კახაბერ სოფრომაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ ყოფილა გამოვლენილი კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კახაბერ სოფრომაძემ საჯარო მოსმენისას ისაუბრა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფოებისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლების საკითხზე და მაგალითისთვის მიუთითა ევთანაზიის პრობლემატიკა. კანდიდატმა განმარტა სამართლიანი სასამართლოს უფლებაც. ამავდროულად, გასაუბრების პროცესში გამოვლინდა ხარვეზებიც: კანდიდატის მსჯელობა დუმილის უფლებისა და თვითინკრიმინაციის აკრძალვის შესახებ არ იყო დამაკმაყოფილებელი, კანდიდატმა თავი შეიკავა მხილების ინსტიტუტთან დაკავშირებულ შეკითხვაზე პასუხისაგან.

აღსანიშნავია, რომ კახაბერ სოფრომაძეს სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. იგი ამჟამად მუშაობს სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ კახაბერ სოფრომაძე სრულყოფილად ფლობს სამართლის ნორმებს და მუდმივად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს პროფესიულ საქმიანობაში ადვოკატად მუშაობის გამოცდილებასთან ერთად აკადემიური ცოდნაც ეხმარება.

საჯარო მოსმენის პროცესზე, კანდიდატმა ისაუბრა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე: მოსამართლისა და ადვოკატის ეთიკას შორის უმთავრეს განსხვავებებზე; აგრეთვე, დაინტერესებული პირის პროცესში ჩაუბმელობის საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების/ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატმა მოიხმო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც „ჯანაშვილები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". კანდიდატმა სწორად განმარტა, რომ ადმინიტრაციულ ორგანოს არ გააჩნია გამოხატვის თავისუფლება, კანდიდატის თქმით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მისამართით გაჟღერდება ცრუ ბრალდება ან ცილისმწამებლური განცხადება, ამ შემთხვევაში მართალია,

განსხვავებული მტკიცების ტვირთის სტანდარტით და რთულად, თუმცა მაინც შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უფლების დაცვა.

ამასთან, გარკვეულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, (მაგ., დასაქმებულთა დაცვის მიზნით შრომითი და ნარდობის ხელშეკრულებების გამიჯვნა), ხოლო პასუხი კითხვებზე არ იყო ამომწურავი, (მაგ., უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება თუ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე).

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კახაბერ სოფრომაძემ წარმოადგინა 1 სამართლებრივი ნაშრომი - „1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია და სასამართლო სისტემა". კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კახაბერ სოფრომაძე აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად. კანდიდატი ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მხოლოდ ერთი ნაშრომით რთულია მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე პირის წერის უნარის და კვალიფიკაციის სათანადოდ შემოწმება.

კახაბერ სოფრომაძემ საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის დინჯად მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაზიარების უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. რეკომენდატორები კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს მაღალ შეფასებას აძლევენ. ისინი მიუთითებენ, რომ კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი.

პროფესიული თვისებები: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები აღნიშნავენ, რომ კახაბერ სოფრომაძე არის მოწესრიგებული, პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული პიროვნება.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივ საკითხებზე გამართულ 4 ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებისა და ქართული კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესახებ, ტრენინგი იურიდიულ ეთიკაში და სხვ.

კანდიდატი არის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. 2017 წლის 21 ივნისიდან კახაბერ სოფრომაძეს მიენიჭა იუსტიციის მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კახაბერ სოფრომაძე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში.

ამასთან, 2013-2017 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. კახაბერ სოფრომაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 82 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 19 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -19 ქულა;
   2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 19 ქულა:
   2.4. პროფესიული თვისებები - 14 ქულა;
   2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა -8 ქულა;
   2.6. პროფესიული აქტივობა - 3 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021